



№ 157 (3134)

14

1966 წ. აგვისტო, 30 პირა. ფასი 3 კპ.

საპარტვილოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორბანიზაციების აკადემიისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი



ეროვნული ზიზლიოთიკა

# ჭილდღეები ღირსეულთ

## სამკერდე ნიშნები

**გ. ზაალიშვილი** — „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს სპორტ-განხიზაიო განყოფილების ინსტრუქტორი.

**კ. კახიანი** — აჭარის სპორტ-კავშირის ინსტრუქტორი.

**რ. კორძია** — „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს უფროსი მწვრთნელი ცხენოსნობაში.

**მ. კარიული** — „კოლმეურნის“ დუშეთის რაისაბჭოს თავმჯდომარე.

**ა. ქუშირიანი** — ბაქურიანის ხაღრიშაშენი მეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივის მეთოდისტი.

**ი. კარაფელი** — საზოგადოებრივი ინსტრუქტორი ველოსპორტში (ქობულეთი).

**ვ. კვაჭაძე** — აჭარის სპორტკავშირის მწვრთნელი.

**გ. კალანდია** — თბილისის № 18 პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორი.

**მ. კვიციანი** — სურამის № 14 სოფლის პროფტექნიკური სასწავლებლის ფიზკულტურის ხელმძღვანელი.

**გ. კაკაურიძე** — თბილისის 68-ე საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.

**დ. კინჭურავილი** — განათლების სამინისტროს სპორტული სკოლის დირექტორი.

**შ. ლითაიშვილი** — გორის პედინსტიტუტის ფიზკულტურის კათედრის უფროსი მასწავლებელი.

**ო. ლევაია** — „კოლმეურნის“ ქობულეთის რაისაბჭოს თავმჯდომარე.

**მ. მიქელაძე** — „კოლმეურნის“ აფხაზეთის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე.

**ზ. მიქიაშვილი** — თბილისის № 34 პროფტექნიკური სასწავლებლის ფიზკულტურის ხელმძღვანელი.

**გ. მგელაძე** — თბილისის სახანძრო დაცვის განყოფილების უფროსი.

**გ. მაიაშვილი** — გორის პედინსტიტუტის ფიზკულტურის მასწავლებელი.

**ა. სიხარულიძე** — ბათუმის მე-5 საშუალო სკოლის დირექტორი.

**ნ. სომხიანი** — საქართველოს სპორტკავშირის სპორტგანხიზაიო განყოფილების მასწავლებელი.

**ლ. სომხიანი** — ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო-სპორტული საზოგადოების უფროსი ინსტრუქტორი.

**ბ. სეზიკურიანი** — „კოლმეურნის“ ქუთაისის რაისაბჭოს თავმჯდომარე.

**მ. ტულუაშვილი** — თბილისის სპორტკავშირის ინსტრუქტორი მძლეოსნობაში.

**ბ. თოთბაძე** — თბილისის სასპორტო-სამონაღირეო სპორტის ფედერაციის თავმჯდომარე.

**ა. უჩანავიანი** — ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივის თავმჯდომარე („კოლმეურნე“).

**რ. ურიადმოყვილი** — გორის პედინსტიტუტის მწვრთნელი ფეხბურთში.

**გ. ხაჩიძე** — გორის პედინსტიტუტის ფიზკულტურის კათედრის უფროსი მასწავლებელი.

**ი. ხვედელიანი** — მექანიკური ქარხნის დირექტორი.


**ა. ხუციშვილი** — თბილისის ქარხანა „პლასტმასის“ საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტი.

**ს. ხაბიშვილი** — თბილისის ალპინიზმის ფედერაციის თავმჯდომარე.

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო“, № 156.**

## ზ. მაჩხანელი — მეორე

მოსკოვში დამთავრდა სსრ კავშირის პირველობა სასტენდო სროლაში. პროგრამის ბოლო სახეობა იყო ადგილიდან სროლა პირველ აცდენამდე. 50 საშიზნის შემდეგ სარბიელს შემორჩა 2 მსროლელი — არმიელი პ. სენიჩევი და სპარტაკელი ზ. მაჩხანელი. მაჩხანელმა ზედინდელ კიდევ 5 მფრინავი საშიზნი დაამსხვრია, 59-ე „გაეცა“ და ტურნირის ისიც გამოეთიშა. სენიჩევმა 150 საშიზნი გატეხა (ეს საკავშირო რეკორდზე 39 ქულით უკეთესია) და სროლა მხოლოდ დადღილობის გამო შეწყვიტა.



**თ. ცერცვაძე** — გორის პედინსტიტუტის ფიზკულტურის კათედრის უფროსი ლაბორანტი.

**შ. წერეთელი** — „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს მწვრთნელი ძალოსნობაში.

**შ. ციხისელი** — თბილისის 57-ე საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.

**რ. ჩახმაჩიანი** — „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს ინსტრუქტორი.

**ო. ჩიქოვანი** — „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს ინსტრუქტორი.

**ვ. ქუნიანი** — „კოლმეურნის“ ბათუმის რაისაბჭოს თავმჯდომარე.

**ფ. ჩაგულავი** — „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს სპორტულ ნაგებობათა სამმართველოს უფროსი.

**ა. ჭანტურიშვილი** — წულუკიძის მე-3 საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.

**დ. გოლოშვილი** — თბილისის № 11 პროფტექნიკური სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატი.

**მ. გიბუტი** — სურამის № 14 პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორი.

**მ. ბაღდასარი** — „ლოკომოტივის“ თბილისის რაისაბჭოს თავმჯდომარე.

**ა. გორგობიანი** — „ლოკომოტივის“ საგზაო საბჭოს სპორტულ ნაგებობათა სამმართველოს გამგე.

**ს. კიურჩიევი** — ამიერკავკასიის რკინიგზის ფიზკულტურის სახლის დირექტორი (თბილისი).

**ნ. ზივჯავაძე** — ამიერკავკასიის რკინიგზის მეთოდისტი საწარმოო ტანვარჯიშში (ქუთაისი).

## სიბელები

სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს სიგელებით დაჯილდოებული არიან:

**გ. ბუცხრიანი** — გორის პედინსტიტუტის ფიზკულტურის კათედრის უფროსი ლაბორანტი.

**ო. მიქელაძე** — თბილისის სამოედლო ფეხსაცმლის ფაბრიკის საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტი.

**ი. შუშლიანი** — 26 კომისიის ქარხნის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე.

**ლ. ლბუანიძე** — თბილისის კერამიკული კომბინატის საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტი.

**ვ. სხირტაძე** — თბილისის ქარხანა ელექტროკაშვების საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტი.

## წოდებები

საქართველოს სპორტკავშირის პრეზიდიუმის დადგენილებით „საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი“ წოდება მიენიჭათ:

**დ. ბეთლემიძე** (მძლეოსნობა, თბილისი).

**ვ. შავლიას** (ფეხბურთი, თბილისი).

**ვ. ელოშვილი** (ფეხბურთი, თბილისი).

**ქ. კრავჩენკო** (ფეხბურთი, თბილისი).

**ს. სვანაძე** (კალათბურთი, ქუთაისი).

**ვ. ბალაძე** (თავისუფალი ჭიდაობა, თბილისი).

**ი. მგელიანი** (თავისუფალი ჭიდაობა, საგარეო).

**მ. ონიკაშვილი** (თავისუფალი ჭიდაობა, თბილისი).

**ბ. გვარჯავაძე** (ტყევის სროლა, თბილისი).

**ნ. ემუხვარი** (ნიჩბოსნობა, სოხუმი).

**ლ. კაციაშვილი** (სამბო, კასპი).

## აკროზატი „აკროზატზე“

12 აგვისტოს უამინდობა შეაფერხა უმაღლეს პილოტაჟში მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობა. დილდინდენე მოიღრუბლა, დროდადრო ცრიდა კიდევ, მაგრამ შუადღისას ჰაერში აიჭრა მსოფლიო ჩემპიონი, ესპანელი თ. კასტანიო, რომელიც, ისევე როგორც პირველ დღეს — ახლაც პირველი ნომერი იყო.

უნდა აღინიშნოს, რომ ესპანელის „აკროზატი“ მართლაც რომ აკროზატი იყო. დროდადრო თვითმფრინავი დრუბლებში იკარგებოდა, მაგრამ კასტანიომ მაინც შესანიშნავად მოახა ცაში „ბნელი“ კომპლექსის სავალდებულო ფიგურები. შემდეგ კი მფრინავი სადამომდე გადაიღო უამინდობის გამო.

ამ შესვენებამ გენერალურ კონსტრუქტორს ა. იაკოვლევს საშუალება მისცა შეეხედროდა საფრანგეთის დელეგაციის ხელმძღვანელს გენერალ ლ. კიუფოს. ომის დროს კიუფო კაპიტანი იყო და გამანადგურებელ „იაკ-3“-ით დაფრინავდა. „მახსოვს, როგორ გაუხარდათ „ნორმანდია“ ნემანის“ პოლკის მფრინავებს თქვენი შესანიშნავი მანქანების მიღება, — თქვა ფრანგმა, — ჩვენ დაახლოებით 100 გერმანული თვითმფრინავი ჩამოვადეთ სულ მცირე ხანში, ამასთან, ჩვენ არც ერთი არ დაგვიკარგავს. მე შევძელი 12 დღის მანძილზე მფრინავი მანქანა გამანადგურებინა „იაკ-3“-ით. ახლაც, როგორც მფრინავი, ალტაცებული ვარ თქვენი სპორტული თვითმფრინავით — „იაკ-18“-ით. ყველა ჩვენი მფრინავი, რომელმაც მანქანა ჰაერში გამოცადა, ძალიან მაღალ შეფასებას აძლევს მას“.

აკროვლევმა გენერალ-კიუფოს წარუდგინა თავისი შვილი სერგი, რომელიც აგრეთვე ავიაციონსტრუქტორია. თავის მხრივ ფრანგმა გენერალმა უპასუხა, რომ მის ოჯახშიც მტკიცე ტრადიციადი ერთგულება. კიუფოს 2 შვილი მფრინავია.

მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონობის მაძიებელმა 18-მა პრეტენდენტმა მხოლოდ სადამოსთვის შეძლო დემონსტრაცია სავალდებულო ფიგურებში. კვლავ წარმატებით გამოვიდნენ საბჭოთა მფრინავები. ვ. მარტენიანი იწინააღმდეგებდა ლიდერობას.

გუშინ ჩემპიონატი დამთავრდა.

ფოტო ბ. სვეტლანოვისა და ვ. გალაკტიონოვისა.

სურათზე: ზევით — თ. პრესი, ქვევით — ვ. კუდინსკი ასპარეზობისას.

ფოტო ბ. სვეტლანოვისა და ვ. გალაკტიონოვისა.

სურათზე: ზევით — თ. პრესი, ქვევით — ვ. კუდინსკი ასპარეზობისას.

ფოტო ბ. სვეტლანოვისა და ვ. გალაკტიონოვისა.

აკროვლევმა გენერალ-კიუფოს წარუდგინა თავისი შვილი სერგი, რომელიც აგრეთვე ავიაციონსტრუქტორია. თავის მხრივ ფრანგმა გენერალმა უპასუხა, რომ მის ოჯახშიც მტკიცე ტრადიციადი ერთგულება. კიუფოს 2 შვილი მფრინავია.

მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონობის მაძიებელმა 18-მა პრეტენდენტმა მხოლოდ სადამოსთვის შეძლო დემონსტრაცია სავალდებულო ფიგურებში. კვლავ წარმატებით გამოვიდნენ საბჭოთა მფრინავები. ვ. მარტენიანი იწინააღმდეგებდა ლიდერობას.

გუშინ ჩემპიონატი დამთავრდა.

ფოტო ბ. სვეტლანოვისა და ვ. გალაკტიონოვისა.

სურათზე: ზევით — თ. პრესი, ქვევით — ვ. კუდინსკი ასპარეზობისას.

ფოტო ბ. სვეტლანოვისა და ვ. გალაკტიონოვისა.

სურათზე: ზევით — თ. პრესი, ქვევით — ვ. კუდინსკი ასპარეზობისას.

ფოტო ბ. სვეტლანოვისა და ვ. გალაკტიონოვისა.

სურათზე: ზევით — თ. პრესი, ქვევით — ვ. კუდინსკი ასპარეზობისას.

ფოტო ბ. სვეტლანოვისა და ვ. გალაკტიონოვისა.

## ახალი იხალი

დენარკობარმსპი, 13 აგვისტო. გუშინ აქ დაიწყო სსრ კავშირის პირველობა მძლეოსნობაში. ჩემპიონატის სტარტზე ოქროს 5 მედალი გათამაშდა. ერთს დაეუფლა მოსკოველი ა. ველიაკოვი, რომელმაც 20 კმ სპორტულ სიარულში ყველაზე კარგი დრო — 1:31,12,6 აჩვენა. ეს შედეგი მიმდინარე სეზონში საუკეთესოა მსოფლიოში. გამარჯვებულს 15,6 წამით ჩამორჩა ვ. გოლუბინი (სუმი), ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა ვ. სოლდატენკომ (ყაზახეთი) — 1:31,31,0.

საინტერესო იყო სტაიერთა შეჯიბრება 10.000 მეტრზე რბენაში. თავიდანვე დაწინაურდნენ ს. ბაიდიუკი (კიევი), ა. მაკაროვი (მოსკოვის ოლქი) და ჩემპიონატის დებიუტანტი ლ. მიკიტენკო (ყაზახეთი). სსრ კავშირის ნაკრების ახალმა იმედმა რამდენჯერმე სცადა დაწინაურება, მაგრამ ბაიდიუკი ფიზიკობდა. ფინიშიმდე ერთი წრე რომ დარჩა, მიკიტენკომ მაინც მოახერხა „გაქცევა“ და ოქროს მედალი დაისაკუთრა — 28.45,4. მაკაროვი II ადგილზე — 29.03,0. ბაიდიუკი ბრინჯაოს მედალს დასჯერდა — 29.08,6.

კიეველმა ვ. კუდინსკიმ ძირითადად ირკუტსკელ ა. კურიანთან ბრძოლაში შეძლო გამარჯვების მოპოვება და მიმდინარე სეზონში ჩვენი ქვეყნის საუკეთესო შედეგი (8.30,5) აჩვენა 8000 მეტრზე რბენაში. კურიანმა მხოლოდ 0,8 წამი წააგო. ა. ალექსეიუნასი (ვილიუსი) III იყო — 8.38,6.

დენარჩენი 2 ოქროს ჭაღებმა გაითამაშეს. მათი ტექნიკური შედეგები ასეთია: ბრინჯაოს ჭაღი — 1. თ. პრესი (მოსკოვი) — 17,77, 2. ნ. ჩიუოვა (ლენინგრადი) — 17,24, 3. ი. პრესი (მოსკოვი) — 16,86; სიბრძნე ხტომბა: 1. ტ. შჩელკანოვა (ლენინგრადი) — 670, 2. ტ. ტალიშევა (მოსკოვი) — 645, 3. ე. კოცარი (გორლოვკა) — 609.

სურათზე: ზევით — თ. პრესი, ქვევით — ვ. კუდინსკი ასპარეზობისას.

ფოტო ბ. სვეტლანოვისა და ვ. გალაკტიონოვისა.

## შენახური

მოსკოვი, 13 აგვისტო. აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „კლასის I“ ჯგუფის გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი გუნდები „სპარტაკი“ და „ტორპედო“. მატჩი მოთვეს ტორპედოელებმა — 2:0. ბურთები გაიტანეს დენისოვმა და ბოროვიცმა.

გუშინ ალმა-ათაში სსრ კავშირის თასზე ადგილობრივმა „იპირატმა“ მძლეოსნობის ოქროს მედალი დაისაკუთრა ვ. მარტენიანმა, ვერცხლის მედალი ვ. ოქსიკინმა, ბრინჯაოსი — ვ. პისუნოვმა.



## ფიზკულტურის საკავშირო ღონისძიებები

13 აგვისტოს, თბილისის „განთიადის“ საცურაო აუზის გარეშე ღონისძიებები მოეწარმებოდა. ფიზკულტურის დღის აღსანიშნავ სპორტსმობრეც ღონისძიებებში 500-ზე მეტმა კაცმა მიიღო მონაწილეობა.

რესპუბლიკის უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლის სპორტმწვრთნელმა საჩვენებელი გამოსვლები გამართეს სხვადასხვა დისტანციებზე ცურვაში. წყალბურთში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „ბურვესტიისა“ და „განთიადის“ გუნდები. მოეწყო ღია სტარტები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ცურვის ბევრმა მოყვარულმა.

საბჭოთა მფრინავების გამარჯვებით დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი უმაღლეს პილოტაჟში. აბსოლუტური ჩემპიონის ოქროს მედალი დაისაკუთრა ვ. მარტენიანმა, ვერცხლის მედალი ვ. ოქსიკინმა, ბრინჯაოსი — ვ. პისუნოვმა.

სურათზე: ზევით — თ. პრესი, ქვევით — ვ. კუდინსკი ასპარეზობისას.

# იბრძვიან, იმარჯვებენ

ტყიბულელმა მესახტეებმა ამ ბოლო ხანს დიდი წარმატებები მიაღწიეს ფიზკულტურულ და სპორტ-მასობრივ მუშაობაში, ჯილდოებიც დაიმსახურეს, მაგრამ შრომისმოყვარე ადამიანები მიღწევებით როდესაც კმაყოფილებიან. ისინი პირობას დებენ კვლავაც ისახელონ თავი. ჩვენი გაზეთის ამ გვერდს ტყიბულელ მესახტეებს ვუთმობთ. მოგიხრობთ მათ დღევანდელ საქმიანობასა და სამერმისო გეგმებს.

## ზრუნველს არ მღვავაკლებთ

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი ტყიბულში შეხვდა პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს გ. ლომიძეს და ორი შეკითხვით მიმართა მას:

— ტყიბულის ფიზკულტურულელები თავიანთ წარმატებებს პარტიის საქალაქო კომიტეტის ხელშეწყობითა და ზრუნვით ხსნიან. რაში გაიზიარებთა თქვენი დახმარება?

— ყველაფერი, რაც კი მესახტეებმა ქალაქში გაკეთდა, პირველ ყოვლისა, თავად მათი, შრომისა და აქტიური გართობა-დასვენების მოყვარული ადამიანების ნაამბავარია. სპორტის მასობრივობას ზაზუნების სიუხვე განაპირობებს. პარტიულმა კომიტეტმა თავის ერთ-ერთ უმთავრეს მოვალეობად მიიჩნია დახმარებოდა ფიზკულტურელებს. აიგო ახალი და კეთილმოწყობილი არსებული ბაზენები. ახლა ქალაქს ამშვენებს შესანიშნავი სპორტული კომპლექსი. ჩვენი ქალაქის საწყობის სპორტის მოყვარულეები მადლობას უხდებიან საქართველოს სპორტკავშირის ხელმძღვანელობას, სპორტის დასახურებულ ოსტატს, რესპუბლიკის უმაღლესი სპორტული ოსტატის სკოლის დირექტორს ნ. დუმბაძეს იმ 8 სპორტული ნაებისთვის, რომლებმაც ტყიბულელი სპორტსმენები დაასახურეს.

— როგორ გეხსებათ სპორტული ტყიბულის მომავალი?

— მიღწევების შესახებ ლაპარაკი ცოტა უზერხელოც არის. მერმისის გეგმებზე კი თამამად შეგვიძლია ვისაუბროთ. ახლო მომავალში ტყიბული დიდ სპორტულ ქალაქად გადაიქცევა. ჩვენი სადღესიო მიზანია უზრუნველყოთ სპორტსმენთა შეუწყვეტელი წვრთნა, ავადობა სახანძრო ბაზენები. უკვე მზადაა პროექტი სპორტის სასახლისა, სადაც საციგურაო მოედანიც მოეწყობა. ვინ იცის, იქნებ მალე ტყიბულელი მოციგურავეებიც ვიხილოთ დიდ სპორტულ სარბიელზე. ქალაქის სპორტული კომპლექსის ტერიტორიაზე აიგება საცხოვრებელი ბინებიც ჩამოსული და ადგილობრივი სპორტსმენებისთვის (ჩვენთან ხშირად ტარდება რესპუბლიკის ნაკრები გუნდების საწვრთნელი შეკრებები). ტყიბულელების წყალსაცავზე ახლო მომავალში მოეწყობა ელინგი ნიშნის სარბიელისთვის, ქალაქის ცენტრში კეთილმოწყობილი სტადიონი გვექნება. დამთავრდება საცურაო აუზის სრული რეკონსტრუქცია. რაშიც ამ გეგმებზე ვლაპარაკობთ, ჩვენი ქალაქის აქტივისა და ცალკეული ორგანიზაციების დახმარების დიდი იმედი გვაქვს.



სურათზე: მარცხნივ — მესახტეა ქალაქის ჩემპიონი, ვ. ი. ლენინის სახელობის შახტის ფრენბურთულ ვუთა კოლექტივი თამაშის მომენტში. მარჯვნივ — ქალაქის მე-2 საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე ჯ. ბრეგაძე ვარჯიშობს.



## დიდიან გვიან ლაგებდა

**რამდენადაც გვიან**  
**„განთიადის“ საცურაო აუზიდან**

ქალაქის ცენტრალური პარკის განაპირას, ცადახილულ ხეობა შორის მოჩანს სახტომი ტრამპლინები და კოშკები. დაბლა, 50-მეტრიან საცურაო აუზში ანკარა წყალი ლივლივებს. დროდადრო პარკიდან მონაბერი ნიავი თუ გატეხს მის მოსარკულ ზედაპირს.

აღრინი დილაა. დარბაზის მეტი არავინ ჩანს. დრო საკმარისი გვაქვს და იგი ტყიბულის ისტორიის გვიამბობს. პირველად ქვეანახშირის ღია წესით მოპოვება 1847 წელს დაუწყეთ. თურმე ფუთობით იღებდნენ

ძვირფას მადანს და ურბებით ჩაქონდათ მუხობელ-სოფლებში. ახლა აქ ყოველწლიურად მილიონობით ტრანსპორტის მანქანა მოაქვთ. სწორედ გუშინ გავიგეთ, ლენინის სახელობის შახტს 7 თვეში ზეგვემით 7500 ტონა ქვეანახშირი ამოუღიოთ, თქვა მოხუცმა.

9 საათი შესრულდა. დარბაზი კარს გასცქერის. მალე მოხუცის დინჯი საუბარი პატარების ყვილ-ხვილმა დაფარა. ექთანს თ. ჯაბაშვილი საუბარზე უკანაღი ინიშნავს: — შაქრის ტემპერატურა 32°, წყლისა — 26.

... იწყება მეცადინეობა, მწვრთნელი ზ. ჯორჯაძე ჯერ წინათ შეს-

წავილ იღებებს ამეორებინებს აღსაზრდელებს, მერე ახალ მოძრაობებს უნსის. ტანს ნუ დაძაბავთ, მუხლები გამართეთ, — აფრთხილებს მოსწავლეებს და ისინიც ცდილობენ უნაკლოდ შესარულონ ვარჯიში. 20 წუთის შემდეგ ყველა თითო ტვიტვა ფიცარი აიღო და აუზი სიგანეზე გადაცურა. — ხომ არ დაიღალა? — ეკითხება მწვრთნელი პატარა „სპორტსმენს“ — 4 წლის მარინი გიორგაძეს. არაო, პასუხობს გოგონა და მონდობებით ებრძვის წყალს. გოგონები ვეუბნა შეცვალეს. მერე ნიშნობის მოყვარულეებიც მოვიდნენ. ახალთახალი ნიავი ჩაუშვეს აუზში. ვიდრე ტყიბულეების წყალსაცავი ელინგი მოეწყობოდა, აქ ცდილობენ ნავის მართვის ტექნიკის დაუფლებას.

მე-2 საშუალო სკოლის VII-კლასელი ჯ. ბრეგაძე მთელი დღე არ მოშორებია აუზს. მე-3 საშუალო სკოლის X-კლასელი ნ. სერბინა კი სახტომ ტრანსპონებთან ტრიალებდა. იგი მონდობით ეზაბდებოდა ასპირანობისთვის.

დირექტორის კაბინეტში იწყინერი გ. კვიციანიშვილი შემოღის. აუზის ხელმძღვანელს სია ვადასცა, მე და ჩემს მეგობრებს გამაჩანსალებელ ჯგუფში მეცადინეობა გვერდა და დაგვეხმარეთ.

დღის მეორე ნახევარი წყალში მტკიცებოდა საქართველოს ნაკრები გუნდის წვრთნის ეთმობა. ისინი ეს-ესა ჩამოვიდნენ და ახლა პირველ ვარჯიშს ატარებენ.

დილიდან გვიან დამემდე არ წყდება აქ მტკიცარე სპორტული საქმიანობა.

## მონდობაა ვინსკლის საწინდარი

თავიდან მეგონა გამძინდებოდა ინსტრუქტორის მოვალეობის შესრულება ორჯონიძის სახელობის შახტში, სადაც 1000-ზე მეტი კაცი მუშაობს. გამომდინო მუშაკები მარტყდნენ, საშინო არაფერია, ბიჭებს მონდობა უჩვენე და ნახვე, როგორ დაგვეხმარებინო. მუშაობის დაწყების პირველი დღიდანვე შემოვივრებე აქტივი. გადავასალიე სექციები, საზოგადოებრივ მწვრთნელმად საუკეთესო სპორტსმენები შევარჩიეთ.

ფიზკულტურის კოლექტივის დიდი დახმარება გაუწია შახტის ხელმძღვანელობამ და პროფკავშირის კომიტეტმა. ერთიანი ძალით წამოწყებულმა იერიშმა მალე გამოიღო სასურველი ნაყოფი. მიეწყო სპორტული ბაზა, შევიძინეთ

ინვენტარი, იმარავლა შიდასაკოლექტივო შეჯიბრებებმა, შრომაში მოწინავე ადამიანებმა სპორტშიც იმარჯვეს, შახტის ჩემპიონის ტიტულს პირველად მზავაი ჯ. კუჭავა, ვაგონების გადამამელი ლ. ბერიძე, შახტის უფროსის მოადგილე გ. მინდაძე და სხვები დაეპატრონენ. საუკეთესოს სახელს დღემდე ინარჩუნებს II უბანი. რაკი ერთხელ ცადეს ძალა რაიონის და რესპუბლიკურ პირველობებში, ჩვენი სპორტსმენები ახლა თითქმის ყოველ დიდ სპორტულ ასპარეზობაში მონაწილეობენ. შარშან პირველი დიდი წარმატება კალაბურთელეებს ხვდათ წილად. — ქვეანახშირის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის სპარტაკიადსე I ადგილი დავი-

კავთ. წელს კი ფეხბურთელებმა გვასახელეს. ახლა ისინი რესპუბლიკის დარგობრივი სპარტაკიადისთვის ემზადებიან. მერე კი მესახტეთა თასის გათამაშებაში მივიღებთ მონაწილეობას. ახალგაზრდებს არც ვეტყვანი მესახტეები ჩამორჩებიან. ერთმანეთს ვჯიბრებთან ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკსა და შაშხში. ხშირად დადიან სათევზაოდ და სანადიროდ. ხანდაზმულთა თავკაცი, 52 წლის ლ. ბეზიაა. იგი ამ ბოლო ხანს სამწერ ზედიზედ იყო ქალაქის ჩემპიონი მაგიდის ჩოგბურთში და რესპუბლიკურ პირველობებშიც გამოდიოდა.

**ჯ. გოგილიძე,**  
ფიზკულტურის მეთოდისტი.

## მათი სიყვავა და საქმე ერთია

შარშანდელი წელი სასახლო მაჩვენებლებით დავათავოვით, ვალდებულება გადაკარბებით გავანადღეთ და რესპუბლიკაში მოწინავე სპორტული ქალაქის სახელი მოვიპოვეთ. ეს სახელი კიდევ მეტს გავავალბდა. ჩვენმა ფიზკულტურელებმა პირობა დადეს არც წლებულს შეერცხვიანათ თავი. მათი სიტყვა და საქმე კი ერთია.

საერთო წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით „განთიადის“ კოლექტივებს, რომლებმაც 5500-ზე მეტი ფიზკულტურელია გაერთიანებულნი. მესახტე სპორტსმენები გამოდებით იმდროულბით ოსტატობას ფიზკულტურის ინსტრუქტორის ხელმძღვანელობით და სულ უფრო დიდი წარმატებით გამოდიან რესპუბლიკურ სარბიელზე.

კარგადა ცურვის საქმე. ჩვენთან უკვე იყვნენ საქაოლ ცნობილი სპეციალისტები ლ. იოაკიმიძე და გ. ვაიკავოი, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი თ. ნეფტეტიდი და სხვ. მათ საქმიანი, პრაქტიკული დახმარება გავეციეს. შეიქმნა 6 გოგონა და 6 ვაჟი, რომელთაც პირველ მოსამზადებელ-საწვრთნელ მეცადინეობებს თბილისში ჩაუტარებენ. კარგად მუშაობს განათლების განყოფილების ბავშვთა სპორტული სკოლა, რომელიც 250 მოსწავლეს აერთიანებს. გათვალისწინებული გვაქვს გავხსნათ კიდევ რამდენიმე დამატებითი ჯგუფი.

ფიზკულტურის საკავშირო დღე ტყიბულელმა სპორტსმენებმა რამდენიმე მასობრივი ღონისძიებით აღნიშნეს. ზეიმს დაესწრნენ მეზობელი რაიონებიდან მოწვეული სპორტსმენები, რომლებთანაც ჩატარდა ამხანაგური შეხვედრები სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

**3. მარტაძე,**  
ტყიბულის სპორტკავშირის თავმჯდომარე.

## მიეცი ნიჭსა გზა ფართო...

ტყიბულში ერთი თვე დაყავი და საშუალება მიქონდა თვალი მედენებინა ცურვის აქტიური მოყვარულეებისთვის. პირდაპირ ვიტყვი, აქ ბევრია ხალასი ნიჭის ახალგაზრდა და ახლა, როცა მათ განკარგულებაშია შესანიშნავი საცურაო აუზი, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სულ მალე ტყიბულელ მოცურავეებს დიდ სარბიელზე ვიხილოთ.

სამწუხაროდ, დღემდე არ ჰყავთ საკმარისი რაოდენობით სპეციალისტი მწვრთნელები. ამ ახალგაზრდებს დროულად უნდა გაეუწოდოთ მზრუნველი ხელი, ტყიბულში უნდა მივეცილით სპეციალისტები. მწამს, რომ აქტიური ჰაბუტეები და გოგონები აღმზარდელთა წინაშე ვალში არ დარჩებიან.

პირდაღ მე გადაწყვეტილი

მაქვს ჩემი წლებანდელი შეგებულების ორი კვირა ტყიბულელ მოცურავეებთან გავატარო, დავეხმარო მათ. ისე კი კვლავ უნდა გავიმეორო, რომ მესახტეთა ქალაქის სპორტული ახალგაზრდობის მიმართ მეტი ყურადღება გვამართებს.

**ლ. იოსაიშიძე,**  
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.



**ტყიბულის „განთიადის“ აუზში ცურვის შემსწავლელ ბავშვთა ჯგუფში ამჟამად 120 მოსწავლე მეცადინეობს.**

**სურათზე:** მწვრთნელი ზ. ჯორჯაძე ცურვის ანბანს განუმარტავს აღსაზრდელებს.

**3. ბარბაქაძე,**  
ტყიბულის სამხედრო კომისარიატის თანამშრომელი, მპიროი.



მოგვყავს მატჩების შედეგები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის რუსურ-ს IV ზონის გუნდებს შორის: „დინამო“ (სოხუმი) — „მამონტ-სტროიტელი“ (პიატიკორსკი) 0:0; „ლენინგრადი“ (კოპენ) — „მეშახტე“ (ტყუბული) 0:0; „ალანია“ (გურჯაანი) — „ლორი“ (კიროვკანი) 2:0; „ურალი“ (დერბენტი) — „სპარტაკი“ (კისლოვოდსკი) 2:1.

● კიევი, 12 აგვისტო. აქ დამთავრდა ახალგაზრდა ჩოგბურთელითა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ბრწყინვალედ გამოვიდა მოსკოველი რ. ისლანოვა. მან სამჯერ გაიმარჯვა ამ ტურნირში: ჯერ მოიგო ერთეულთა შეჯიბრება, შემდეგ ესტონელი ა. კრეხთან ერთად I ადგილი დაიკავა წყვილთა ასპარეზობაში, ხოლო შეჯიბრების ბოლო დღეს ჩემპიონად გამოვიდა ე. უმეცთან ერთად დაიკავა I ადგილი შერეულ წყვილთა ასპარეზობაში. ჰაბუტა შეჯიბრებაზე I იყო ტალინელი ი. ნაელი.

● ტრაპაი, 12 აგვისტო. წყალქვეშა სპორტში სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონები გახდნენ ლენინგრადელი ვ. ჩეპელინა და კიეველი ვ. ლისენკო. მათ წყალქვეშა მრავალბრუნოვანი დაჯიბრების შედეგად დაიპყრეს 4858 და 4969 ქულა. ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მფლობელები გახდნენ: ქალთა შორის ს. ბოლდუვა (მოსკოვი) და ვ. კუზნეცოვა (შეიარაღებული ძალები), ვაჟთა შორის — ს. ტარასოვი (მოსკოვი) და მ. პოპოვი (ტალინი). ცალკეულ ვარჯიშებში მცირე ოქროს მედლები მოიპოვეს კიეველებმა ვ. უსენსკიმ, ა. გოლოვანინმა, ვ. ლისენკომ, ტალინელებმა — ა. კოლტუნმა და ა. ტულკუმ, ლენინგრადელებმა ვ. ჩეპელინამ, მოსკოველებმა — ვ. კუზნეცოვამ და ვ. კუზინამ.

● ტამბოვი, 12 აგვისტო. აქ დამთავრდა საკავშირო ჩემპიონატი „მე-ლაზე ნადირობაში“. 6 დღის საინტერესო, დაძაბული ბრძოლის შემდეგ

# სსრ კავშირის

გუნდური პირველი ადგილი დასაკუთრეს ყაზახეთის სპორტსმენებმა. II ადგილზე არიან რუსეთის ფედერაციის, III — ბელორუსიელი რადისტები. ვეროის სამგზის ჩემპიონმა ა. გრეჩინინმა (რსფსრ) მოიხვეჭა აბსოლუტური ჩემპიონის სახელი. ვერცხლის მედალი ერგო მის თანაგუნდელ ვ. კუზნინს, ბრინჯაოსი — ვ. ლუსინას (ყაზახეთი). ქალთა შორის ჩემპიონი გახდა ბელორუსელი პირველთაწრის ი. ლაპა. II ადგილი დაიკავა ი. ზავალსკიამ (ყაზახეთი), III — ტ. ალიშევამ (რსფსრ).

● მოსკოვი, 12 აგვისტო. მინსკის გზატკეცილზე გაიმართა საერთაშორისო შეჯიბრება ფეხბურთში. პრფრამაში იყო 70 კილომეტრზე რბოლა. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ იტალიის, ჩეხოსლოვაკიის, დრენდენის (გერ) და საბჭოთა კავშირის სპორტსმენები. გაიმარჯვეს სსრ კავშირის წარმომადგენლებმა, რომლებმაც აიგნეს დრო — 1:37.13. II ადგილი დაიკავეს იტალიელებმა (1:40.24), III — ჩეხოსლოვაკელებმა — 1:42.25,7.

## „ტყავის ბურთის“ ტასზე

როგორც ცნობილია, საკავშირო ალკატრალური კომიტეტის, გაზეთ „პიონერსკაია პრადისა“ და ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის ინიციატივით

ბათამაშვილის ცხრილი	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„შალბინისი“ (ვილინსკი)	21	13	5	3	37	17 31
„უშბანი“ (კრახნოლარი)	21	9	8	4	25	12 26
„ტაქსტილშინი“ (ივანოვი)	20	8	9	3	25	15 25
„დაუბაზა“ (რივა)	20	9	6	5	34	19 24
„ტრაპტორნი“ (ვოლოგოდა)	21	9	5	7	26	24 23
„თერბი“ (გროსნო)	21	7	9	6	16	18 23
„დინამო“ (კიროვბადი)	20	6	10	4	17	11 22
„რუბინი“ (უზანი)	20	8	6	6	19	16 22
„ლოკომოტივი“ (თბილისი)	21	6	9	6	24	26 21
„დინამო“ (სტავროპოლი)	21	7	6	8	14	18 20
„ბალტიკა“ (კალინინგრადი)	21	5	8	8	11	18 18
„სპარტაკი“ (ნალიჩი)	21	5	8	8	15	23 18
„დინამო“ (ბათუმი)	20	6	5	9	20	26 17
„როსტალმაში“ (როსტოვი)	21	4	9	6	19	28 17
„სპარტაკი“ (გომელი)	20	4	9	7	9	16 17
„დინამო“ (ტალინი)	20	4	5	11	15	22 13
„შირბაი“ (ლენინკანი)	21	3	7	11	17	32 13



- „შალბინისი“ (ვილინსკი)
- „უშბანი“ (კრახნოლარი)
- „ტაქსტილშინი“ (ივანოვი)
- „დაუბაზა“ (რივა)
- „ტრაპტორნი“ (ვოლოგოდა)
- „თერბი“ (გროსნო)
- „დინამო“ (კიროვბადი)
- „რუბინი“ (უზანი)
- „ლოკომოტივი“ (თბილისი)
- „დინამო“ (სტავროპოლი)
- „ბალტიკა“ (კალინინგრადი)
- „სპარტაკი“ (ნალიჩი)
- „დინამო“ (ბათუმი)
- „როსტალმაში“ (როსტოვი)
- „სპარტაკი“ (გომელი)
- „დინამო“ (ტალინი)
- „შირბაი“ (ლენინკანი)

## „მერსხლის“ შორეული გაღარბენა

დღეს, 14 აგვისტოს, თბილისში, ლენინის მოედანზე სტარტს აიღებს მოტოგაღარბენა, რომელსაც საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი აწყობს. ლაშქრობაში მონაწილეობენ ტურნის რესპუბლიკური სამჭოს ავტონომოსები „მერსხლის“ მოტოციკლისტები. 6 მანქანა გაუყვება საბჭოთა ხალხის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომითი დიდების გზებს. გაღარბენის მონაწილეობის მონაწილეობენ იმ ადგილებს, სადაც დიდი სამამულო ომის წლებში იბრძოდნენ ქართველი ჯარისკაცები ნოვოროსიისკისთან, ქერჩთან, სევასტოპოლთან და უკრაინაში — იამპოლსკის ტყეში ისინი შემორჩალები დადგებიან დაამარჯვებენ.

## უომქვედობის შედეგად

გულირების რაიონის კოდორის ხე-ტყის კომბინატის კომკავშირული ბრიგადა, რომელსაც ფეხბურთელი ნ. სტრელცოვი ხელმძღვანელობს, ერთ-ერთი მოწინავეა შრომაში, მაგრამ სპორტში კი გერაა რიგობად საქმე. აქ არა ჰყავთ ფიზიკურად მეთოდისტი. კომბინატის ფეხბურთის მინდორი დღემდე შემოუღობავია, ტრიბუნები საცა დაინგრევი, მინდორი ღორების სათარეშოა, არაა




## „ლეონი“ ეგზავნება

ახლოდება „ტყავის ბურთის“ პრიზის საკავშირო გათამაშება ევროპისა და ქუჩების გუნდებს შორის. როგორც ცნობილია, ფინალურ ტურნირში ჩვენი რესპუბლიკიდან მონაწილეობას მიიღებს თბილისის „ლეონი“. ამჟამად ნორჩი თბილისელი ფეხბურთელები საწვრთნელ ბანაკად იმყოფებიან ბაკურიანში, სადაც ემზადებიან ა. გუკასიანისა და ა. ბოჭორაძის ხელმძღვანელობით. ნორჩთა მზადების პროგრამაშია საერთო ფიზიკური მომზადება, ტექნიკური მეცადინეობანი და, რა თქმა უნდა, ვარჯიში ბურთით. \* \* \* სურათზე: მარცხნივ — „ლეონის“ ფეხბურთელები ემზადებიან მწვრთნელ ი. ბოჭორაძის მეთვალყურეობით. მარჯვნივ — ნორჩები წვრთნას გადიან წიწვნარში. ფოტო ვ. გენგიურისა.

## ჭადრაკის მხედრის ისტორიული იღვა

მხედარი ჭადრაკში ამ თამაშთან ერთად გაჩნდა, 1400 ისტორიული წელი განვლო და დღესაც არსებობს. ამ ფიგურის იღვა ადამიანის ტოტემური აზროვნების დროს განეკუთვნება. სიყვითისა და მწიფის ლმობის ცხენ-მხედრის სახე უძველესი წინამორბედი ჭადრაკის მხედრისა. ეს კავშირი ახლაც ჩანს იტმოსავლეთისა და დასავლეთის ბეზრის ხალხის სავადაკო ტერმინებში. ავილოთ, თუნდაც, ქართული ტერმინი მხედარი, ისლური „ასვა“ (დაკავშირებულია მსხვერპლშეწირვის ადრითან — ასვამდღა), გერმანული „რიტერი“, „მილისი“ და სხვ. (ცხენ-მხედრის სახე მეტად მრავალფეროვანია. ფრანკთაში ცხენი — პეგასი, უფროსი ცხენი უმ-ველესი მზის კულტის გლობინტი) და სხვ. ამ ტიპის საინტერესო ნიმუშებია, აგრეთვე, მხედრის ქოლხური სახე (V საუკუნე ჩვენი წელთაღრიცხვამდე) და მისი ანალოგიური — მერბი და ესპანეთიდან, სადაც ცხენ-მხედარი ქლორუხებით არის წარმოდგენილი. საქართველოში გათხრების დროს იპოვეს საკულტო კომპოზიციის დეტალი — ცხენის გამოსახულება ფაფრითა და შუბლზე მოკლე შეჭრილი თმით, რაც ბერძნული აკროპოლისის საკულტო ცხენის თავს გვაგონებს. პროფესორ ი. კოფტინის აზრით, ეს არის ცხენ-მხედრის მთლიანი კომპოზიციის დეტალი. ცხენ-მხედრის გამოსახულება ხშირად გვხვდება ძველ სოფლებსა და საკულტო ნივთებზე, იარაღზე და ა. შ. დასავლეთ საქართველოში მეფის დაქრალის აუცილებლად უნდა დასწრებოდა 10 მხედარი უკუღმა დადგმული უნაგირებთი. ინდოეთში ღვთაებრივი სახელი „ასვა“ გადაიქცა საჭადრაკო ტერმინად ჯერ კიდევ ჭადრაკის ყველაზე ადრინდელი სახეობის — ჩატურანგას დროს. ცხენ-მხედრის მითოლოგიური საკულტო სახე, ცხენი — პეგასი და, უბრალოდ, ცხენი, რომელიც ღმერთის-მხედრის-გმირის სული იგულისხმებოდა, კარგად იყო ცნობილი აღმოსავლეთისა და დასავლეთის VI-X საუკუნეების მოქა-



მსოფლიოს VIII ჩემპიონატი ფეხბურთში. მატჩი სსრ კავშირისა და პორტუგალიის გუნდებს შორის.

მატჩი — 11-მეტრიანი საბუთა ნაკრების კარში. იაშინი ვერ მიწვდა ეუსებლოს მიერ ძლიერად დარტყმულ ბურთს. მარჯვნივ — პატარა „ღრამა“ გატანილი პენალტის შემდეგ (№ 13 მაისურით — ეუსებლო).

ფოტო მ. ზარგარიანისა. (ჩვენი სპეც. კორ.).

# 3 0 6 რეზი კონკურსი გაიმარჯვა?

როგორც კი დამთავრდა ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტთა კენჭისყრა და 16 მონაწილე განლაგდა წინასწარ ჯგუფებში, საერთაშორისო სპორტული პრესა შეუდგა მკითხველთა კონკურსების მოწყობას დღევანდელი „ქვილ რიმეს თასი“. საერთო ფერხულს არ ჩამორჩა „ლელოც“, მით უმეტეს, რომ ჩვენს გაზეთს ტრადიციად აქვს ასეთი კონკურსები მსოფლიო პირველობათა წინ. ფეხბურთის მოყვარულთა ჩვენ შევთავაზეთ რამდენიმე კითხვა (შეიძლება, ტრადიციული, მაგრამ მაინც აუცილებელი).

1. დალაგეთ გუნდები იმ თანმიმდევრობით, როგორც იხილეთ დაიკავებენ ადგილებს ჯგუფებში (ყველა 4 გუნდი) — 5 ქულა.
2. განსაზღვრეთ მეოთხედფინალებში გამარჯვებული — 4 ქულა.
3. განსაზღვრეთ ნახევარფინალებში გამარჯვებული — 3 ქულა.
4. განსაზღვრეთ პირველი გუნდი მსოფლიოში — ოქროს ქალღმერთის მფლობელი — 2 ქულა.

როგორც ხედავთ, საკონკურსო პირობები არც ისე იოლი გახლდათ. ფაქტურად საჭირო იყო გათამაშების ფინალის მიყოლი მსვლელობის გამოცნობა და, მიუხედავად ამისა, გულშემატკივრებმა დიდი ინტერესი და ხალხის გამოიჩინეს კონკურსის მიმართ. რედაქციის მისამართით განუწყვეტელ ნაკადად მოდიოდა წერილები (მათი რაოდენობა საბოლოოდ ავიდა 2577-მდე), ამასთან, ყველაზე ჯერბრუნებულად დაიცვა კონკურსის ერთ-ერთი მთავარი პირობა: არც ერთი ისეთი წერილი არ შემოსულა, რომელსაც შტამსზე ჰქონოდა 11 ივლისი, ჩემპიონატის დაწყების დღე. ამ თარიღისთვის წერილები უკვე მოზრდილ შტამბლებად ეწყო თაროებზე. მაგრამ, ჩვენსა აზრით, ზოგიერთებმა იჩქარეს და თავიანთი პირობებით მეტისმეტად ადრე, ჯერ კიდევ იანვარში გამოგზავნეს. რა თქმა უნდა, მაშინ გაცილებით უფრო ძნელ საქმეს წარმოადგენდა მოწინააღმდეგეთა ძალების შეფასება, მათი დაპირისპირება. ჩემპიონატის წინა მზადების პერიოდში, საკონტროლო მატჩებში, ცვლილებებმა გუნდების შემადგენლობებში სერიოზული კორექტივები შეიტანეს მონაწილე გუნდების საერთო სიძლიერეში და მზადყოფნაში უშუალოდ თამაშების დაწყების წინ.

ახლა თვით კონკურსის შესახებ. პირველი, ვინც „უშუსთოა“ გულშემატკივრებს, იყო ბრაზილია. მართლაც, ვინ იფიქრებდა, რომ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონები — ბრაზილიელები ისე მარცხიანად ითამაშებდნენ თავიანთ ჯგუფში, რომ მეოთხედფინალსაც ვერ მიაღწევდნენ და ვადაზე გაცილებით ადრე გაემგზავრებოდნენ შინსკენ. წერილების დიდი უმრავლესობა ბრაზილიელებს გულისხმობდა მსოფლიო ჩემპიონებად და ამიტომ იყო, რომ მათი ავტორები ქულების გარეშე დარჩნენ. ბრაზილიის მარცხის წყალობით მათი პასუხები არც ერთ კითხვაზე არ გამოდგა სწორი. სხვათა შორის, კონკურსის რამდენიმე მონაწილემ ბრაზილია არ გაიყვანა მეოთხედფინალში, მაგრამ ამ

სწორი პირობების გვერდით მათ ვერ ამოიცნეს სხვა ჯგუფების გამარჯვებულნი და ვერ მიიღეს ვერც ერთი ქულა. მეორე გუნდი, რომელმაც „სარმა დაულო“ ფეხბურთის მცოდნეებს, გახლავთ იტალია. საკონკურსო წერილებში იტალია, როგორც წესი, პირველ ან მეორე ადგილზე ზის IV ჯგუფში, იტალიელებმა კი ნამდვილი სამხრეთული „ფუქსავატობა“ გამოიჩინეს, დამარცხდნენ ჯგუფში და გაწვილდა პირველს წერილების ავტორებს. აქა-იქ თუ ჰყავს ვინმეს ჯგუფში მეორე ადგილზე ჩილი და მხოლოდ ორს — კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდი.

უზუსტობათა მესამე „წყარო“ გამოდგა ესპანეთის ნაკრები. ეს გუნდი II ჯგუფში უმეტესობას გაჰყავდა პირველ ან მეორე ადგილზე, შემდეგ ესპანელები იმარჯვებდნენ მეოთხედფინალში, ნახევარფინალში და ზოგ შემთხვევაში — ფინალშიც კი. ამის ნაცვლად ესპანეთმა მხოლოდ III ადგილი დაიკავა ჯგუფში, თვითონაც ხელმოცარული წაივდა შინსკენ და პირობებისგან გაწვილებული დატოვა.

საერთოდ, ყველაფერი არაა ჯგუფებში ჩატარებულმა წინასწარმა ტურნირებმა. არც ერთი ვარაუდი არ გამართლდა და თუ პირობები სწორად არ იქნა დასმული ჯგუფებში, რა თქმა უნდა, ეს ავტომატურად იწვევს არასწორ პასუხს მეოთხედფინალშიც. ამის შედეგად კონკურსის ვერც ერთმა მონაწილემ ვერ მიიღო ქულები პირველ 2 კითხვაზე. აქ კი ქულათა ყველაზე მეტი რაოდენობაა გათვალისწინებული პირობების მიხედვით.

გულშემატკივართა დიდი უმეტესობა ასე ვარაუდობდა ჯგუფებში გამარჯვებულებს: I ჯგუფში — ინგლისი, საფრანგეთი, II ჯგუფში — ესპანეთი, გერმანია, III ჯგუფში — ბრაზილია, პორტუგალია, IV ჯგუფში — სსრ კავშირი, იტალია. ლოკალური წინასწარმეტყველება არ გამართლდა.

კონკურსის მონაწილეებმა მსოფლიო ჩემპიონად დაასახლეს: ბრაზილია, ინგლისი, სსრ კავშირი, იტალია, ესპანეთი, პორტუგალია, უნგრეთი, ურუგვაი. ბრაზილიელთა შემდეგ ჩემპიონობის ყველაზე მეტი ხმა მიიღეს ინგლისელებმა, მაგრამ გზა, რომლითაც ეს გუნდი მიდიოდა პირველი ადგილისკენ, ნაჩვენებია საყვებით განსხვავებულ ვარიანტებში. უმეტესობას მიაჩნდა, რომ ფინალში ერთმანეთს შეხვდებო-

ნენ ბრაზილია და ინგლისი და საამისოდ ჯგუფებში, როგორც ამას გათამაშების დებულება მოითხოვდა, მას ერთ-ერთი მთავარი მეორე ადგილზე გაჰყავდა. ბრაზილიელები რომ მეორე ადგილზე გასულიყვნენ, შეიძლება პრობნოზი მართლაც სწორი გამომდგარიყო, მაგრამ ასე არ მოხდა.

ერთი სიტყვით, კონკურსის პირველ 2 კითხვაზე (9 ქულა) არც ერთი სწორი პასუხი არ იქნა გაცემული. თუმცა გამოჩნდნენ ისეთები, რომლებმაც ამონხნეს ბოლო 2 კითხვა და მიიღეს 5 ქულა, მაგრამ ეს საერთო შესაძლებლობის 50 პროცენტზე ნაკლებია, ამიტომ გამარჯვებისთვის არაა საკმარისი. მაგრამ, ჩვენს აზრით, მათი პრობნოზი დანარჩენებთან შედარებით სწორია, ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია მათი ვინაობა გამოვავიყვნოთ „ლელოში“.

აი, ისინი, ვინც ფინალში გაიყვანა ინგლისი და გერმანია ფინალურ მატჩში გამარჯვება ინგლისს არგუნა წილად:

- მ. ფარცხალაძე (ხესტაფონი), რ. ჯიჯიაშვილი, ჯ. ჯიჯიაშვილი, ა. ტერტეროვი (გარდაბნის რ-ნი, სოფ. შინდისი), ლ. მექერიშვილი (გურჯაანი), გ. გრძელაძე (თბილისი, სადგ. ლილი), მ. კაკაბაძე (წულუკიძე), ძმები კ. და თ. კინურაშვილები (ცხაკაია), გ. გულუა (რუსთავი), მ. ხურცილავა (ქუთაისი), ლ. ტოფაძე (ლანჩხუთის რ-ნი, სოფ. სუფსა), გ. მაღრაძე (აბაშის რ-ნი, სოფ. ეწერი), შ. ხუბულური, გ. ბადათურია, ვ. მაქარაძე, გ. ჯაბაბა, ვ. ცხოვრებაძე, მ. ზაქარაია, ვ. კვეციანი, ა. გურაშვილი, მ. მაღრაძე, ნ. მაღლაკელიძე, ხ. გვაზავა, ვ. ახვლედიანი, გ. კაკაბაძე, ო. ჯიქიძე, თ. მაღლაშვილი, რ. მენაბდე (ყველანი — თბილისი).

დაბოლოს, საინტერესო ფაქტი, რომელიც გვიჩვენებს მიგაწოდოთ ჩვენს მკითხველებს. მათ შორის, ვინც გამოიცნო ორი ფინალისტი და გამარჯვებული გუნდი, არის ქალიც, ელენე შიხვილი ას ული ე დილაშვილი თბილისიდან, რომლის გვარსაც „ჩვეულებრივ“ გულშემატკივართაგან გამოყოფთ ცალკე, საგანგებოდ.

რასან ელენე ედლაშვილმა ასეთი ცოდნა გამოამყვანა მამაკაცთა „დარგში“, ჩვენ გადაწყვიტეთ დაგვიჯილოთ ერთ იგი ფასიანი სამხსოფრო სარქურით.

რედაქცია სარგებლობს შემთხვევით და მადლობას უხდის ყველას, ვინც გამოგზავნა კონკურსს და მონაწილეობა მიიღო მასში.

## ოლიმპიური თარიღები ცნობილია

მექსიკის დედაქალაქში ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ოლიმპიური ტურნირი ფეხბურთში ჩატარდება 1968 წლის 13-22 თებერვლს. 18 თებერვლამდე ჩატარდება თამაშები ქვეჯგუფებში, 20 და 22 თებერვლს — ნახევარფინალებში, 24 თებერვლს — მატჩი III ადგილისთვის და 26 თებერვლს — ფინალი.

## ტრადიციონალისტები უკან იხევიან

ფეხბურთის მოყვარულებმა კარგად იციან, რომ მოთამაშეთა შეცვლა ოფიციალურ საერთაშორისო ტურნირებში ნებადართული არაა, სულ ერთია, იქნება ეს ტრავმის გამო, თუ ტაქტიკური მოსაზრებით. ამ საკითხზე დაფა არაერთხელ გაჩაღებულა სხვადასხვა

## ფეხბურთის ახალი აგებუ

● იტალიურ გაზეთებში დაიბეჭდა ცნობა იმის შესახებ, რომ ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ უკვე გადააყენა ნაკრების მწვრთნელის პოსტიდან ე. ფაბრი. ახალი „კომისარო ტექნიკო“ (ასე უწოდებენ იტალიაში ნაკრების მწვრთნელს) იქნება მილანის „ინტერნაციონალს“ მწვრთნელი ე. ერეა.

● ცნობილი უნგრელი მწვრთნელის ბ. გუტმანის გადაყენების შემდეგ ლისაბონის „ბენფიკას“ მწვრთნელად კლუბის ხელმძღვანელობამ მიიბატია ჩილიელი ფ. რიერა.

● მი უხედავად დიდი წარმატებისა მსოფლიო ჩემპიონატზე, პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელს, ბრაზილიელ ო. გლორიას, რომელიც წვრთნის პორტუგალიის ჩემპიონს — ლისაბონის „სპორტინგს“, კლუბის ხელმძღვანელობამ წინადადება მისცა სხვა აამუშაო ნახოს. ო. გლორია მიიწვია ესპანეთის ჩემპიონმა მადრიდის „ატლეტიკომ“. პრესის აზრით, იგი „ატლეტიკოსთან“ 2-წლიან კონტრაქტზე მოაწერს ხელს.

● არგენტინის ფეხბურთის ფედერაციამ მიიბატია კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრები გუნდი. ვარაუდობენ, რომ ბუენოს-აირესში კორეელები შეხვდებიან არგენტინის ნაკრებს.

● კელე და უსებო კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს თავიანთი ქვეყნების ნაკრები გუნდების შემადგენლობაში — ასე განაცხადა აშშ-ის ფეხბურთის თასის გათამაშების ერთ-ერთმა პასუხისმგებელმა პირმა. 21 აგვისტოს პორტუგალიისა და ბრაზილიის გუნდების მატჩით გაიხსნება ეს შეჯიბრება.

● გელუ-ორიზონის „ატლეტიკო მინეიროს“ (ბრაზილია) ხელმძღვანელობამ მწვრთნელობიდან გადააყენა პ. აპარაილი, ბრაზილიის ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი. „ატლეტიკო მინეიროს“ ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ „ბრაზილიური ტრადიციის“ ერთ-ერთ მომწყობს არ შეუძლია კლუბის წვრთნა.

● ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ ქვეყნის ნაკრების მწვრთნელის პოსტიდან გადააყენა ხ. ვილიალონგა. ფედერაციის მიზანშეწონილად მიაჩნია ამ პოსტზე დანიშნის დ. ბალმანი.

## სკობლარი მის

უკანასკნელ წლებში გახშირდა იუგოსლავიელ ფეხბურთელთა გადასვლა უცხოურ კლუბებში. იუგოსლავიელი ოსტატები თამაშობენ საფრანგეთში, ბელგიაში, ავსტრიაში, გერმანიაში, შვეიცარიაში და შვეიცარიაში. უკანასკნელი დარტყმა ამ მხრივ იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციამ რამდენიმე დღის წინ მიიღო, როცა ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა ფეხბურთელმა, ბელგრადის ოფკ-ის მარცხენა გარემარბმა ი. სკობლარმა ნებართვა ითხოვა უცხოურ კლუბში გადასვლაზე. სკობლარი მიიბატნება მილანის „ინტერნაციონალს“ მწვრთნელმა ე. ერეამ.

ბელგრადის ოფკ-ის (რომელიც თავის მფლობელთა თასის გათამაშებაში ხვდება მოსკოვის „სპარტაკს“) ხელმძღვანელობამ გადასვლაზე ნება დართო სკობლარს. ახლა მხოლოდ იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციას ძალუძ მისი დატოვება.

## ლ. ბაროტი გადადგა

ცნობილი უნგრელი ფეხბურთის სპეციალისტი, ამ ქვეყნის ერთ-ერთი ნაკრების უფროსი მწვრთნელი ლ. ბაროტი გადადგა. მის ნაცვლად უნგრელებს სათავეში ჩაუდგება რ. ილოვსკი, რომელმაც უკვე შეადგინა დელტაური გეგმა ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობისთვის.

## რედაქციის მოადგილე ზ. ჯაფარიძე.



ფეხბურთი. სსრ კავშირის პირველობა. „ა“ კლასი. „ლოკომოტივის“ სტალიონი (ი. ჰაქვაძის პრ. № 74). „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ბალტიკა“ (კალინინგრადი). 15 აგვისტო. სათაღარიგო შემადგენლობანი. 16 აგვისტო. ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 18 ს. 15 წ. „დინამოს“ სტალიონი. „დინამო“ (თბილისი) — ასე (როსტოვი). 16 აგვისტო. სათაღარიგო შემადგენლობანი. 17 აგვისტო. ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 19 ს.

საქართველოსა და თბილისის სპორტკავშირები იუწყებიან თბილისის სპორტკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის მახვილ გეგელიას მამის გიორგი მიხეილის ძე გაგელიას გარდაცვალებას და თანაგრძობას უცხადებენ მის ოჯახს. პანაშვიდი 15 აგვისტოს, 20 საათზე. გამოსვენება 16 აგვისტოს, 18 საათზე ბანიდან, გოგებაშვილის ქ. № 46.